პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 მაისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი • № 117 (14113)

ეს ფოტოსურათი გადაღებულია გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე. წინა პლანზე — დეპუტატები ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი თ. ყუშუნია და სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ერთსულოვნად, საქმიანად

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მუშაობა დაამთავრა

21 მაისს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მესამე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

უმაღლესი საბჭო იწყებს დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ დასმული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობა“ ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველ მოადგილეს ბ. ი. ჩოგოვაძეს.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ა. ს. ბეძაური (დუშეთის საარჩევნო ოლქი, დუშეთის რაიონი), ზ. ბ. ბუცხრიკიძე (ლენინის საარჩევნო ოლქი, ზუგდაფონის რაიონი), ა. რ. დოლმაზაშვილი (ტიბაანის საარჩევნო ოლქი, სიღნაღის რაიონი).

კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ყოველი საკითხი, რომელიც დეპუტატებმა დასვეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წინაშე, ყოველი მათი წინადადება უნდა გახდეს ღრმა და ზედმიწევნითი შესწავლის საგანი, რადგან დეპუტატთა უმრავლესობა ყურადღებას აპყრობს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებს, არა მარტო აკლენს არსებულ ნაკლოვანებებს, არამედ კიდევაც გვიჩვენებს მათი აღმოფხვრის გზებს.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დეპუტატთა მოვალეობაა მთელი თავიანთი ძალღონე, ცოდნა და ენერგია, მაღალი ავტორიტეტი გამოიყენონ იმისათვის, რათა წარმატებით შესრულდეს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაუსახა ხალხს. ისინი მოწოდებული არიან მთელი სიმტკიცით იბრძოლონ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მათ დაუსახეს სამინისტროებსა და უწყებებს, წყდებოდეს ზუსტად და დროულად.

დეპუტატებმა თქვეს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობაა გაწეული ხალხის რჩეულთა მიერ დასახული საკითხების განხილვისა გაუმჯობესებისათვის, მეტწილ სამინისტროებსა და უწყებებში დეპუტატთა მიერ დასმულ საკითხებს ჯეროვანი ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, სამინისტროებისა და უწყებების ზოგიერთი მუშაკი და ხელმძღვანელი ყოველთვის როდი ეხმაურება დროულად დეპუტატთა მიერ დასმულ საკითხებს, ურიგდება საქმის გაჭიანურების, დეპუტატთა მიერ დასახული პრობლემების ფორმალური გადაჭრის ცალკეულ ფაქტებს.

ყველა ორატორმა ერთსულოვნად აღიარა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ ბრძანებულების მიღება უეჭველია ხელს შეუწყობს სამინისტროებსა და უწყებებში იმ საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, რომლებიც წამოაყენეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა.

ხესიამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს მსჯელობა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ წამოყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის გამო.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ წამოყენებულ საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ“.

უმაღლესი საბჭო შეუდგა სესიის დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას. დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვიკრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის თავჯდომარის დეპუტატ მ. მ. დანელიასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავჯდომარის დეპუტატ ი. ე. ნონეშვილის საანგარიშო მოხსენებანი ამ კომისიათა საქმიანობის შესახებ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ვ. ა. ასათიანი (ქალაქ თბილისის ნავთლუღის საარჩევნო ოლქი), ნ. რ. ხასია (გაგრის რაიონის გაგრის მეორე საარჩევნო ოლქი), შ. ბ. ყამბარაშვილი (გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საარჩევნო ოლქი),

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვიკრობის და საზოგადოებრივ კვებისა და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ“.

სესია გადავიდა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვაზე. მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კვაჭატაძემ.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც გამოიცა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე და მესამე სესიებს შორის, და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ამასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ზოგიერთი წევრი ახლა მუშაობს ისეთ თანამდებობებზე, რომელთა გამო, დებულების თანახმად ვერ იქნებიან მუდმივ კომისიებში, დეპუტატმა რ. რ. დვალმა შემოიტანა წინადადება გაათავისუფლონ დეპუტატი დ. გ. ბაბულაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავჯდომარეობისაგან ამ მოვალეობისაგან მისი დანიშვნის გამო. შემდეგ მან შემოიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავჯდომარედ აირჩიონ დეპუტატი ნ. ა. შვანია და გაათავისუფლონ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დვალმა შემოიტანა წინადადება გაათავისუფლონ დეპუტატი დ. ბ. შარაშიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქმონსერვხილბოსტნეულეკრობის“ თავჯდომარედ მისი დანიშვნის გამო.

შემდეგ დეპუტატმა რ. რ. დვალმა შემოიტანა წინადადება გაათავისუფლონ დეპუტატი რ. ა. ჯაფარიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის წევრის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ არჩევის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრად აირჩიეს დეპუტატი ო. ფ. ანთია.

ამით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ შუაობა დაამთავრა. (საქდესი).

## ფრანც იონასი ეწვია ნ. ვ. პოდგორნის

**ავსტრია** რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი **ფრანც იონასი** 20 მაისს ვრცელში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარეს **ნ. ვ. პოდგორნის.**

ნ. ვ. პოდგორნისა და ფ. იონასს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. შეეხნენ აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირ-ჩესოსლოვაკიის თანამშრომლობა

მოსკოვში ვიზიტით მყოფი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტექნიკის მინისტრი მ. გრუშკოვიჩი და მასთან ჩამოსული ტექნიკის სამინისტროსა და სლოვაკიის ტექნიკის კომისიის პასუხისმგებელი მუშაკები 20 მაისს შეხვედნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნეფენიერგბისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარეს ვ. ა. კირილინს.

საუბრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმ საკითხთა ფართო წრეზე, რომლებიც ეხება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. (საკდესი).

## საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

**მოსკოვი,** 21 მაისი. (საკდესის კორ.). მოსკოვის შრომის სასახლის დარბაზში დღეს გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს II პლენუმი. პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების დარგში პროფკავშირული, ორგანიზაციების იმ ამოცანათა შესახებ, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წ. აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ტ. ნ. ნიკოლაევამ.

# ᲪᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

## შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

**საქართველოს** სსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 1968 წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწიეს. გამოშვებულია ტონობით ზეგეგმითი ლითონი, ქიმიკატები, მანქანები, სახალხო მოხმარების საქონელი, გაუმჯობესებულია ნაწარმის ხარისხი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია ასეული ათასობით მანეთი ზეგეგმითი ეკონომია, გაზრდილია შრომის ნაყოფიერება.

მოსკოვიდან სასიხარულო ცნობები მოდის ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წარმატებებზე სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოდეს თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის, რძის კომბინატისა და თამბაქოს № 2 ფაბრიკის კოლექტივები.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს თბილისის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის მუშაკთა მრეწველობის სამინისტროსა და საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიეცა ლენინგრადის ტანსაცმლის ფაბრიკის, რძის კომბინატსა „საბჭოთა საქართველოსა“ და ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

პირველ ფულად პრემიებთან ერთად ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი დაჯილდოებულია სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო რუსთავის ხორცის კომბინატის კოლექტივი — სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „პურეული პროდუქტებისა და ერთობლივ-ბული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის № 3 წისქვილ-ომბინატის კოლექტივს.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის განყოფილების კოლექტივმა დაამსახურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

## საკავშირო დროშა და პირველი ფულადი პრემია — ქარელელებს

გასულ საიუბილეო წელს ქარელის რაიონის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში და დაიმსახურეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის, ორგანიზაციების იმ ამოცანათა შესახებ, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წ. აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ, მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ტ. ნ. ნიკოლაევამ.

ქარელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ბრეშკაძემ, მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დ. აბაშიძემ, კოლმეურნე რუსიკო ბოგინიკაშვილმა მადლობა გადუხადეს ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებს რაიონის მშრომელთა ყოველგვარ მადლიერებისათვის და პირობა დადეს წელს უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ. რაიონის მშრომელებს გარდამავალი წითელი დროშის მიღება მიულოცა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ტოლიაშვილმა, და მათ უსურვა ახალი წარმატებები კომუნისტურად შრომასა და ცხოვრებაში.

იმავე დღეს ბრეთის მეწყლეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „პურეული პროდუქტებისა და ერთობლივ-ბული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის № 3 წისქვილ-ომბინატის კოლექტივს.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის განყოფილების კოლექტივმა დაიმსახურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

# ᲪᲝᲓᲜᲐ-ᲮᲐᲚᲮᲘᲡ!

**გვესაუბრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ აკადემიის აკადემიკოსი**

**გიორგი ძოწენიძე**

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VI ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რეპუბლიკის ინტელიგენციის ცხოვრებაში. იგი შეაჯამებს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების კეთილმობილური საქმეში ქართველ მეცნიერთა, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა მიერ გაწეულ მუშაობას. განვლილი ოთხი წლის მანძილზე, დასახავს საზოგადოების ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის ახალ ამოცანებს ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

რეპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“ თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გაფართოვდა და განსტაბილდა მისი საქმიანობა, რამაც ფართო აღიარება ჰპოვა. იგი რესპუბლიკის იდეური და კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.

მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საზოგადოების რიგებში ითვლებოდა 26.490 კაცი. ეს ორჯერ მეტია იმასთან შედარებით, რაც საანგარიშო პერიოდის დასაწყისში იყო. უკანასკნელ წლებში საზოგადოების ლექტორები ყოველწლიურად 250 ათასზე მეტ ლექციას კითხულობენ. ყოველდღე საზოგადოების ლექტორებს 30 ათასზე მეტი მსმენელი ყავს. უფრო მრავალფეროვანი გახდა ზეპირი პროპაგანდის ფორმები, საგრძნობლად ამაღლდა ლექციების იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონე. საზოგადოების ორგანიზაციების პრაქტიკაში ფართოდ დამკვიდრდა პროპაგანდის სხვადასხვა მასობრივი ფორმები. ახლა რესპუბლიკაში თითქმის არ არის ისეთი საწარმო ან დაწესებულება, სოფელი ან მშრომელთა კოლექტივი, სადაც საზოგადოების წევრები ლექციებით არ გამოდიოდნენ.

ჩვენი ზეპირი პროპაგანდის ქმედითობის მთავარი პირობაა ლექციებისა და მოხსენებების მაღალი იდეურ-თეორიული დონე, მათი ხელმისაწვდომობა და დამაჯერებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს ჩვენმა საზოგადოებამ და მისმა ორგანიზაციებმა განსაორგანიზებელ ქმედითი ღონისძიებები რესპუბლიკაში მომუშავე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ფართო ფენების მოზიდვისაკენ ლექციების პროპაგანდაში. ამაზე ნათლად მეტყველებს ამჟამად ჩვენი საზოგადოების რიგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. საზოგადოების 26.490 წევრიდან 106 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი და წევრ-კორესპონდენტია, 645 — მეცნიერების დოქტორი და პროფესორი, 2.514 — მეცნიერების კანდიდატი და დოცენტი, 2.665 — უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მასწავლებელი და მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 8.878 — სკოლის მასწავლებელი.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკაში წაკითხულია 900 ათასზე მეტი ლექცია, რაც 40 პროცენტით მეტია საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წინა 16 წლის განმავლობაში წაკითხული ლექციების რაოდენობაზე. ლექციებს დაესწრო 40 მილიონი მსმენელი. ეს ციფრი ორჯერ აღემატება წინა ოთხი წლის პერიოდში ლექციებზე დამსწრეთა საერთო რაოდენობას. ახლა საზოგადოების ხაზით წაკითხულ ლექციათა ნახევარზე მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკაზე მოდის.

ჩვენმა ზეპირმა და ბეჭდვითმა პროპაგანდამ განსაკუთრებით ფართო გაქანება და ღრმა მნიშვნელობა ჰპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის მზადების პერიოდში. იუბილესთვის მზადებისას ლექციური პროპაგანდა გამდიდრდა ახალი მრავალფეროვანი ფორმებით, რომლებიც მასებზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენდნენ. ჩატარებულია ათასობით ლექციების ციკლები, ლენინური და საოქტომბრო კითხვები, თემატური საღამოები, თეორიული კონფერენციები, ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში, მშრომელთა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამაცო ომის ვეტერანებთან, შრომის გმირებთან.

საზოგადოების გამგეობამ და ორგანიზაციებმა უნდა განამტკიცონ და შემდგომ მუშაობაში გამოიყენონ ლექციური მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელიც მათ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით შეიძინეს. ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როცა გაიშალა მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის.

ლექციური პროპაგანდის იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონის ამაღლების საკითხები ყოველთვის იყო და არის საზოგადოების გამგეობისა და ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ეს საკითხი სხვადასხვა ასპექტში საანგარიშო პერიოდში სამჯერ იქნა განხილული გამგეობის პლენუმზე. დაისახა ღონისძიებანი ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა ორი წლის წინათ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე გამჯვობის პრეზიდიუმის წევრები და აპარატის მუშაკები გაგზავნილ იქნენ საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებში ლექციების ტექსტების განსახილველად, ლექციებზე დასასწრებად და ადგილზე მეთოდური დახმარების აღმოსაჩენად. ლექციური პროპაგანდის ხარისხი შემოწმებულ იქნა თბილისში, აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, აგრეთვე სიღნაღის, ზუგდიდის, ჯორის, მახარაძის რაიონებში.

დიდად საგულისხმოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ლექციური პროპაგანდის ხარისხის ამაღლებას ყველგან როდი ეძლევა საჭირო ყურადღება. „ცოდნის“ ზოგიერთი ორგანიზაცია გატაცებულია ლექციების რაოდენობით.

ლექციური პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საკითხები ფართოდ იქნა განხილული ჩვენი საზოგადოების ყველა რგოლში — გამგეობის პლენუმზე, პრეზიდიუმის სხდომებზე, სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების, სექციებისა და პირველადი ორგანიზაციების კრებებზე; ამ საკითხებზე მჯელობას პრინციპული, შემოქმედებითი ხასიათი ჰქონდა. ამან შესაძლო გახადა საზოგადოების ორგანიზაციებს შეემუშავებინათ ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უკვე დადებით შედეგებს იძლევა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების წევრთა ძირითადი მასის, განსაკუთრებით სოფლად მომუშავე ინტელიგენციის, მომზადების დონისა და ოკტომბრის ამაღლების ამოცანა. თავისთავად ცხადია, რომ მხოლოდ მეცნიერთა ძალებით ვერ დაგაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას ლექციებზე. ამ ამოცანას კვლავაც უნდა ემსახურონ ინტელიგენციის ფართო ფენები — მასწავლებლები, ინჟინრები, აგრონომები, ექიმები და სხვ. მაგრამ მათ უნდა დაეხმაროთ სემინარების, კონსულტაციების მოწყობით, ნაბეჭდი მასალების მიწოდებით.

ლექციური პროპაგანდის ხარისხის ამაღლებაში დიდია სამეცნიერო-მეთოდური საბჭოებისა და სექციების როლი. საზოგადოების გამგეობასთან არსებული 15 სამეცნიერო-მეთოდური საბჭო და ორი კომისია აერთიანებს 500-ზე მეტ მეცნიერსა და სპეციალისტს, რომლებიც მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან, უზრუნველყოფენ ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის მაღალ იდეურ-თეორიულ და მეცნიერულ დონეს. უკანასკნელ ხანს მტკიცედ დამკვიდრდა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოების გამოფენები ხდომებისა და კონფერენციების მოწყობა, საბჭოს წევრები რამდენიმე დღით მიდიან რაიონებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ისტორიის, სახელმწიფოსა და სამართლის, პედაგოგიკისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების, პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოები.

ცოდნისადმი ხალხის მასების მისწრაფებას ნათლად ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში სახალხო უნივერსიტეტების არსებობა. მეცნიერული ცოდნის გავრცელების ეს ყველაზე სისტემატური ფორმა ღრმად მეიჭრა მშრომელთა ყოფასა და ცხოვრებაში. თუ 1964 წელს რესპუბლიკაში 75 სახალხო უნივერსიტეტი იყო, 1967-1968 სასწავლო წელს მეცადინეობას შეუდგა 223 სახალხო უნივერსიტეტი, რომელებიც გაერთიანებულია 25 ათასზე მეტი მსმენელი.

სახალხო უნივერსიტეტების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში მონაწილეობს 3.267 მეცნიერი, მასწავლებელი, ექიმი, ინჟინერი, იურისტი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკი, წარმოების ნოვატორი, რომელმაც მარტო გასულ წელს წაიკითხა 5.146 ლექცია, მოაწყვეს ასობით სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობა, თეორიული კონფერენცია, თემატური კითხვა-პაუების საღამო, შეხვედრები. სახალხო უნივერსიტეტები ნაყოფიერად მუშაობენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ-ოსეთში, ქ. თბილისში, ქუთაისში, გორში, აგრეთვე მახარაძის, თელავის, ხაშურის, სამტრედიის, ცხაკაიის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ბორჯომის, ყვარლის, ზესტაფონის, ახალციხის და სხვა რაიონებში.

ცოდნის პროპაგანდის ხარისხის ამაღლებაში დიდი როლი ეკისრება ბეჭდვითს პროდუქციას. საანგარიშო პერიოდში გამოცემულია 190 დასახელების ბროშურა და 24 დასახელების ლექტორთა დამმარე მეთოდური მასალა. ამჟამად მასობრივი ტირაჟით გამოდის ბროშურების ათი სერია 400 ათასზე მეტი ხელმომწერისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიის XXIII ყრილობის მასალების პროპაგანდისს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სანიშნო ლექციების ბეჭდვას.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიურ მუშაობას. ეს ხაზგასმით არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებში. საზოგადოების მთელი მუშაობა ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ დარაზმოს მშრომელები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეიქმნელად, დაეხმაროს საბჭოთა საზოგადოების ყველა წევრს მეცნიერული მსოფლმხედველობისა და კომუნისტური მორალის გამომუშავებაში, ჩაუნერგოს თვითეულ საბჭოთა ადამიანს იდეური სიმტკიცე, იმის უნარი, რომ წინააღმდეგს ყოველი ფორმის ბურჟუაზიულ გავლენას, ხელი შეუწყოს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდას.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ინტელიგენცია, ჩვენი სახალხოები მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი წარმატებით შეასრულებენ ამ რთულ ამოცანას და კვლავაც იქნებიან პარტიული ორგანიზაციების ერთგული მებრძოლი თანამეგზავრი კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

* * *

**სურათზე** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VI ყრილობის დელეგატთა ჯგუფი. მარცხნიდან: **გ. ბიწაძე** — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე, **ბ. ფურცხვანიძე** — პროფესორი, **ბ. ქობალია** — ზუგდიდის საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელი მდივანი, **ნ. წიტაიშვილი** — მახარაძის საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე, **ა. კალმახელიძე** — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის რეფერენტი, **გ. ახვლედიანი** — აკადემიკოსი, **კ. ნიოლაიშვილი** — პროფესორი, **ვ. გოგიბედაშვილი** — პროფესორი, **ე. ნანობაშვილი** — პროფესორი, **გ. ძიძარია** — აფხაზეთის ასსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი **ვ. ივარდავა** — აფხაზეთის ასსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.

ფოტო **გ. გოგოხიასი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

# რესპუბლიკის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გ. გელბახიანის თანამოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მოვლა-აღზრდის, ჯანმრთელობისა და სწავლების საკითხები სამართლიანად იპყრობს ჩვენი ქვეყნის პარტიულ და სახელმწიფოებრივი ორგანოების ყურადღებას. და ეს შემთხვევითი როდია.

რაც უფრო უმჯობესდება მოსახლეობის კეთილდღეობა, რაც უფრო დიდდება ქალის უფლებები და როლი საბჭოთა წყობილებაში, მით უფრო აქტუალურად ისმება მისთვის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საკითხი. ზრუნვა ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის, ზრუნვა ყველაზე პატარების ცხოვრების საუკეთესო პირობების შექმნისათვის ნიშნავს ზრუნვას ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, კომუნიზმის მშენებელი ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის.

როგორც მომხსენებელმა ამხ. ლ. საყვარელიძემ აღნიშნა, რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაწეული ჩვენ ბავშვთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ყოველწლიურად იზრდება ბაგა-ბაღების ქსელი. ამჟამად საქართველოში 377 ბაგაა 15.264 ადგილით, სადაც შექმნილია სათანადო პირობები აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობისა და სამედიცინო მომსახურებისათვის. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ქ. თბილისის მე-10, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველი და მეორე, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის, გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მე-2 და მე-3 საბავშვო ბაგები.

ამას წინათ დავათვალიერეთ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კომეფურნეობის ბაგა-ბაღის შენობა. აქ კოლმეურნეთა თაოსნობით აგებულია ორსართულიანი 28-ოთახიანი სახლი, რომლის 14 ოთახი 357 კვადრატული მეტრი ფართობით განკუთვნილია ბაგის ასაკის ბავშვებისათვის. ამ სოფელში 2.400 მცხოვრებია და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამავე სოფლის მეორე უბანში თითქმის ასეთივე ბაგა-ბაღის მშენებლობაა დაწყებული. ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი შეძლების მქონე კოლმეურნეობები არცთუ ისე ცოტაა, მაგრამ ასე აქტიურად არ მონაწილეობენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ რესპუბლიკაში ბავშვთა ბაგებში ადგილების რაოდენობა არასაკმარისია.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ყოველ 100 მუშა-მოსამსახურე ქალზე, ნორმატივების მიხედვით, გათვალისწინებულია 12 ადგილი ბაგაში, ხოლო ასეთ ქალთა რაოდენობა რესპუბლიკაში 513.899-ს უდრის, ნათელი გახდება, რომ 50.000 ადგილის ნაცვლად დღეისათვის არსებული მისი მხოლოდ 3,6 პროცენტი სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოსა და საკავშირო დაქვემდებარების უწყებების ბაგა-ბაღებში და ბაღებში არსებული 98.367 ადგილიდან ბაგის ასაკის ბავშვებისათვის 6.212 ადგილია. რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებთან არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში 84.740 ადგილიდან ბაგის ასაკის ბავშვებისათვის 5.435 ადგილია. ასეთი შეფარდება ბაგისა და ბაღის ადგილებისა, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებას. დაწესებულებებში, სადაც მეტწილად ქალის შრომაა გამოყენებული, საბავშვო ბაგების რიცხოვრივი მაჩვენებლები ძალიან დაბალია, მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სისტემაში 1359-ს, კვების მრეწველობაში — 97-ს, სოფლის მეურნეობაში 338-ს უდრის.

ეს კი იმის მიზეზია, რომ ბავშვების მოთავსება ბაგებში ხდება ნორმის ზევით, რაც აუარესებს ბავშვთა მოვლა-პატრონობის მდგომარეობას, სათანადო ჯგუფობრივი იზოლაციის დაცვის პირობების უქონლობის გამო ქმნის ბავშვთა შორის ინფექციების გავრცელების საშიშროებას.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობის გამო ხშირად მშობლები იძულებული არიან უარი განაცხადონ ბავშვების ბაგაში მოთავსებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა დაავადების მიზეზით ბაგებში ბავშვთა გამოუცხადებლობის მაჩვენებელი შემცირდა, ჯერ კიდევ მაღალია ბაგაში და ბინაზე კარანტინის გამო გაცდენილ დღეთა რაოდენობა და საშუალოდ შეადგენს გაცდენილ დღეთა 9.5 პროცენტს, ხოლო ავადმყოფობის გამო გაცდენილ დღეთა 16 პროცენტს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბავშვის ავადმყოფობის გამო დედა იძულებულია შრომისუუნარობის ფურცელზე გადავიდეს, გასაგები გახდება, რა უჯდება სახელმწიფოს თვითეული ბავშვის ავადმყოფობა და ამის გამო მუშა-მოსამსახურეთათვის გაწეული ხარჯები.

ბაგებითა და ბაგა-ბაღებით მოსახლეობის მოთხოვნილების რაციონალურად დაკმაყოფილებას ხელს უშლის ისიც, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის აღმასკომები სათანადო დადგენილების მიუხედავად არ ახორციელებენ ახლად მშენებარე საცხოვრებელი სახლების პირველი სართულების 5 პროცენტის ამ მიზნისათვის გამოყოფას.

ბავშვთა ბაგების მუშაობის შემოწმებით გამოირკვა, რომ მათ უმრავლესობას სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის გამო ძალიან მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. მაგალითად: ქ. სიღნაღის ბავშვთა ბაგაში, რომელიც გათვალისწინებულია 30 ბავშვისათვის, ერთ აღსაზრდელზე მოდის 1,5-2 კვადრატული მეტრი ფართობი, შენობას ათბობენ თუნუქის ღუმელებით, ხოლო სანტარულ წერტილს არა აქვთ კანალიზაცია; საძინებელ ოთახში, ფართობის სიმცირის გამო, ვერ ახერხებენ ერთდროულად 30 ბავშვის დაძინებას და მათი დაძინება ორ ცვლად ხდება.

ქ. თბილისის № 15 ბაგაში 13 საწოლზე ორ-ორი ბავშვი წევს. ასეთივე მდგომარეობაა გარდაბნისა და მცხეთის ზოგიერთ საბავშვო ბაგაში.

თბილისის 26 კომისრის რაიონის № 9 ბაგა მოთავსებულია კომუნალური სახლის პირველ სართულზე. იგი 45 საწოლისთვის არის გათვალისწინებული და თვითეულ ბავშვზე 1 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართობი მოდის. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე ქუთაისის, ცხაკაიას, ახალციხის და სხვა რაიონების ზოგიერთ საბავშვო ბაგაში.

გარდაბნის რაიონის მეფრინველეობისა და სართიჭალის მერძევეობა-მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში ბაგის შენობების ნაწილი უმირავთ კერძო პირებს და სხვადასხვა ორგანიზაციათა კანტორებს, ხოლო თელეთის საბჭოთა მეურნეობაში ბავშვთა ბაგა მოთავსებულია ნაქირავებ ბინაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც რაიონული საბჭოს აღმასკომი და არც სასოფლო საბჭოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი ასაკის ბავშვთა მოვლა-პატრონობის პირობების გაუმჯობესებას, არ განიხილავენ ბაგების მუშაობის საკითხს და არ სახავენ სათანადო ღონისძიებებს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც, ეს მომხსენებელმა აღნიშნა, გარდაბნის რაიონში მაღალია შობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

ბავშვთა ბაგების უთრავლესობა მოითხოვს კაპიტალურ რემონტს, წყლით გათბობით და კანალიზაციით უზრუნველყოფას, ეზოების კეთილმოწყობას, მაგარი და რბილი ინვენტარით და სათამაშოებით შევსებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არაერთი დადგენილება, ვერა და ვერ მოგვარდა ბაგა-ბაღებისათვის სათანადო ფორმისა და ხარისხის მაგარი ინვენტარის დამზადება.

ბაგის აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობა და ჯანმრთელობა ბევრად არის დამოკიდებული მათი კვების სწორ ორგანიზაციაზე.

ბავშვთა კვების პროდუქტების მოგარაგებაში არსებული ნაკლოვანებები დიდად აფერხებს კვების საკითხის მოწესრიგებას. ამაზე მიგვითითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქ. ქუთაისის ბავშვთა ბაგების 1967 წლის განმავლობაში ნორმით გათვალისწინებული 33.109 ცალი კვერცხიდან არ მიუღია 24.949 კვერცხი, ახალი ხილის 53 პროცენტი, ბოსტნეულის და მწვანილის 60 პროცენტი, ხოლო არაჟანისა და ხაჭოს 80 პროცენტი.

უფრო ცუდ პირობებში არიან ქ. ფოთის აღსაზრდელები. № 1 ბაგას 1968 წლის თებერვალში არ მიუღია არც ერთი ლიტრი ნატურალური რძე და ბავშვებს მხოლოდ შესქელებული რძეს აძლევდნენ; ბაგას არ მიუღია აგრეთვე არც ერთი კილოგრამი ხაჭო და არაჟანი.

მახარაძის რაიონის ბავშვთა ბაგების შეფმოწმებით გამოირკვა, რომ ნასაირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბავშვთა ბაგას 1967 წელს დაკლდა 296 კილოგრამი კარტოფილი, 800 კილოგრამი ბოსტნეული, 275 კილოგრამი ხილი და 1.346 ცალი კვერცხი. ბურნასთის ჩაის ფაბრიკის ბავშვთა ბაგას არ მიუღია 285 კილოგრამი კარტოფილი, 178 კილოგრამი ბოსტნეული, 102 კილოგრამი ხილი, 1.164 ლიტრი რძეთან მიიღო 341 ლიტრი. ქ. მახარაძის № 1 ბავშვთა ბაგას, ნაცვლად 1.275 კილოგრამი კარტოფილისა, მიღებული აქვს 440 კილოგრამი, 1.433 კილოგრამი ბოსტნეულის ნაცვლად 320 კილოგრამი, ხოლო 1967 წლის განმავლობაში არ მიუღია არც ერთი კილოგრამი ხილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვების ბლოკი ყველგან არ არის კეთილმოწყობილი. ბავშვის უმრავლესობას არა აქვს გამდინარე ცხელი წყალი, არ პყოფნის ჭურჭელი. ჯაჭვების გადატვირთვის გამო ერთ მაგიდასთან, ნაცვლად ორისა ზმირად ზის 6 და 8 ბავშვიც კი. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის, ცხაკაიას, სიღნაღის, მცხეთის, ახალციხის და ზოგიერთ სხვა რაიონის საბავშვო ბაგებშიც.

ბაგების ნაწილს არ გააჩნია მაცივარდანადგარები და საწყობი, რის გამო ადგილზე არა აქვთ ყველა პროდუქტის მარაგი.

რესპუბლიკის ბაგებში ძირითადად დანერგილია კერძებია სიის წინასწარი შედგენა და ყოველდღიური კალორიულობის გამოანგარიშება გაკეთებული პროდუქტების რაოდენობის მიხედვით. მაგრამ ზოგან ეს წესი სრულყოფილად ვერ ხორციელდება. ცუდი მდგომარეობაა რკინიგზის ბავშვთა ბაგებში, სადაც კვების კალორიულობის გამოანგარიშება ამ წესით არ წარმოებს.

საერთოდ კი ბავშვთა რაციონალური კვების სრულფასოვნების ასეთი გამოანგარიშება ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნას. საჭიროა, როგორც წესი, სისტემატურად ხდებოდეს კვების რაციონის კალორიულობის ლაბორატორიული გამოკვლევა.

საკითხის შესწავლით აკრეთვე დადგინდა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, კერძოდ სანეპიდსადგურები, ამ საქმისადმი შეუშფოთებლად დამოკიდებულებას იჩენენ

მეტ წილ ბაგებში დანერგილი არ არის თანამშრომელთა ფასიანი კვება, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს აღსაზრდელთა ნორმალურ კვებაზეც.

საბავშვო ბაგების მუშაობის შესწავლისას ცხაკაიას, ფოთის, მახარაძის, ახალციხის, ქუთაისის, თბილისის, ტყიბულის, მცხეთის, სიღნაღის, წითელწყაროს და ზოგიერთი სხვა რაიონის ამ დაწესებულებათა მუშაკებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ნორმატივების შესაბამისად გამოყოფილი კვების პროდუქტების შესაძენად საკმარისი თანხები არა აქვთ.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ჩვენი აზრით, საუარმო-დაწესებულებების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა დაისვას ბავშვთა კვებისათვის გამოყოფილი დღიური თანხის გადიდებისა და მეექვსე სამუშაო დღიდან გამოთავისუფლებული თანხის დანარჩენ დღეებზე გადანაწილების საკითხი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და სამედიცინო მომსახურების უკეთ ორგანიზების მიზნით რესპუბლიკაში სათანადო მუშაობა გაწეული. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა. პირველ რიგში, ბავშვების დაავადებათა და სიკვდილიანობის შემცირებით.

1955 წელს ჩატარებული საფუძვლიანი საექიმო შემოწმების შედეგად სრულიად ჯანმრთელ ბავშვთა პროცენტი 78,3-ს უდრიდა, ხოლო 1967 წელს ეს მაჩვენებელი 85,6 პროცენტამდე გაიზარდა.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ბავშვებს, რომლებსაც დარღვეული აქვთ მხედველობა, მეტყველება, ტანადობა და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ დასვა საკითხი განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე ქ. თბილისში მცხოვრებ მეტყველების დეფექტის მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის ცალკე ბაგა-ბაღის შენობის გამოყოფისა და მათთან სათანადო სამკურნალო-აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩატარების შესახებ. მაგრამ საკითხი დღემდე ღიად არის დარჩენილი და საჭიროებს სათანადო გადაწყვეტას.

ბავშვთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში გარკვეული როლი ენიჭება სუფთა ჰაერით ფართოდ სარგებლობას, რასაც ჩვენი ბავშვები ბაგებში, ბაგა-ბაღებსა და საბავშვო ბაღებში ხშირად, სამწუხაროდ, მოკლებული არიან იმის გამო, რომ აღნიშნულ დაწესებულებათა შენობების ღია ვერანდები თითქმის ყველგან შემინულია და გადაკეთებულია სასარგებლო ფართობად. ბავშვებს იშვიათად აძინებენ ჰაერზე, ხოლო კიდევ უფრო იშვიათად ეზოში, სათანადოდ გამწვანებული და შემოღობილი ეზოების უქონლობის გამო (მახარაძე, სიღნაღი, გარდაბანი, ახალციხე და სხვ.).

უნდა გაითვალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეთოდური და ორგანიზაციული დახმარება და ხელმძღვანელობა ბავშვთა ბაგებისადმი. ეს განსაკუთრებით ესაჭირო სხვადასხვა უწყებათა დაქვემდებარების სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვიყვანოთ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის მაგალითი. ბაგა-ბაღის დათვალიერების დროს ადგილზე არ აღმოჩნდა ბავშვთა ფიზიკური განვითარების ინდივიდუალური ბარათები. ამასთან დაკავშირებით მუშაკებმა განვიმარტეს, რომ იქიმები მოდიან, სინჯავენ ბავშვებს და ჩანაწერებს ადგილზე არ ტოვებენ. ამავე დროს საბავშვო ბაღის გამგემ ამბ. ბაღაჯანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, მეთოდური ხასიათის შეკრებანი, საუბრები, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვა ასეთი ღონისძიებანი რომ ხორციელდებოდეს, მუშაობაში უკეთესი შედეგები გვქონდა.

ბაგის აღმზრდელებსა და სამედიცინო პერსონალს მჭიდრო კავშირი აქვთ დამაყარებული აღსაზრდელთა მშობლებთან. ისინი მონაწილეობენ ბაგის ყოველდღიურ საქმიანობაში და შეძლებისდაგვარად უწევენ მას სათანადო დახმარებას მშობელთა კომიტეტებისა და პასუხისმგებლობას, რომელიც მუდამ თან ახლავს ჩვილი ასაკის ბავშვთა მოვლა-პატრონობისა და აღზრდის საქმეს.

სამავშვო ბაღი და ბავშვთა ბაგა ორი სხვადასხვა სახის სამავშვო დაწესებულებებია.

ბავშვთა ბაგა სამედიცინო დაწესებულებაა, რომლის ჩვილი ასაკის ბავშვთა ჰიგიენური მოვლა, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისათვის, ფიზიკური აღზრდა და ბავშვის ორგანიზმის განმტკიცება.

ყოველივე ეს მოითხოვს ადრეული ასაკის ბავშვთა ზრდა-განვითარების კანონზომიერების ღრმა ცოდნას, ასაკის მხრივ ჯგუფების მიხედვით ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ-ფიზიკური თავისებურებათა მიხედვით მუშაობის განსხვავებულებას, რაც მხოლოდ ისეთ ჯამოცდილ სამედიცინო პერსონალს შეუძლია, როგორიც არის ექიმი-მეკრობედიატრი, პატრონაჟის და მედ-და-აღმზრდელი, მომვლელი ძიძა.

საბავშვო ბაღი საალმზრდელო-პედაგოგიური დაწესებულებაა, როლის მიზანია აღზარდოს სკოლამდელი ასაკის ბავშვები 3-დან 7 წლამდე, ბაღში წარმოებს პედაგოგიური-აღმზრდელობითი მუშაობა, ფიზიკური, მეგიენური, მუსიკალური და ესთეტიკური აღზრდა. ეს ექალებათ სპეციალური მომზადების აღმზრდელ-პედაგოგებს.

ბაგა ემსაურება ჩვილი ასაკის ბავშვებს 3 თვიდან 3 წლამდე (3 ჯგუფია), 3 თვიდან 12 თვემდე, 13 თვიდან 24 თვემდე და 25 თვიდან 36 თვემდე. ყოველი მათგანი მოითხოვს ცალკე რეჟიმს, კვებას, მოვლას, სპეციალურ ასაკობრივ მიდგომას.

ბაგა, ბაღისაგან განსხვავებით, მოიცთხოვს მთელ რიგ სპეციალურ სათავსებს, ყოველი ჯგუფის იზოლაციას, შიმღერ ფილტრს, დედების ოთახს, იზოლიატორს და სხვ. ბაგის ასაკის ბავშვთა კვება მეტად განსხვავდება ბაღის ასაკის ბავშვთა კვებისაგან, როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად.

ზემოაღნიშნულის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბავშვო ბაგები დარჩეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში, როგორც მედიკურ-სანიტარული დაწესებულება და არ მოხდეს ბაგების ბაღთან გაერთიანება.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ბევრი დაწესებულება მატერიალურად სათანადოდ არაა უზრუნველყოფილი, ამიტომ მოკეთულ ეტაპზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამ ტიპის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ საწინდარი გახდება ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა. საბავშვო დაწესებულებათა მუშაკებს ამ საქმეში უნდა დაეხმარონ ადგილობრივი საბჭოები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები. მათი დახმარება ზოგჯერ კონტროლით შემოიფარგლება, რაც, ცხადია, საკმარისი არ არის. აუცილებელია ადგილებზე იქმნებოდეს საზოგადოებრივი აზრი და კონკრეტული დახმარების ასპექტში ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბავშვო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. (ტ-ბი).

# ქალაქი ეროსნებათა და თანამოხსენებათა გამო

**დეპუტატ**

**ვ. ი. პისარევას**

**სიტყვა**

**კომუნისტური** პარტია და საბჭოთა მთავრობა დაეჭიდა ზრუნავენ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებენ სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებანი. ჩვენს ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდა მთელი სახალხო განათლების სისტემის ორგანული შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას; ამიტომ არის, რომ ბაღებისა და ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოებასა და მუშაობის გაუმჯობესების ჩვენში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებებისადმი ზრუნვა განსაკუთრებით გაძლიერდა სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესებისა თვის ზრუნვის ნათელი დადასტურებაა თვით ის ფაქტიც, რომ სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებების მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დღეანდელი სესია.

დეპუტატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სამავშვო ბაღებისა და ბაგების მუშაობის საკითხებს. მან ილაპარაკა იგრეთვე თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკასთან არსებული სამავშვო ბაღისა და ბაგის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ № 7 სამავშვო ბაღი ემსახურება 115 ბავშვს, № 30 ბაგა კი — 52 ბავშვს. ორივე ეს დაწესებულება ფაბრიკასთან ახლოს ერთ შენობაშია მოთავსებული. სამავშვო ბაღი მთელ თბილისში საჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დამხმარე შენობაშია მოთავსებული, აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ აქ ბავშვებმა კარგად დაისვენონ, განვითარდნენ ფიზიკურად და გონებრივად. ბაღს აქვს შესანიშნავი ეზო და

იხილეთ შემოკლებით.

კომუნისტი
№ 2 ბერეული, ოთხშაბათი,
22 მაისი, 1968 წ.

ყვავილების ბაღი. მთელ პედაგოგიურ პერსონალს სპეციალური განათლება აქვს. ცხრა პედაგოგი ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის სამაგალითო წოდებას.

ყოველთვიურად ბაღში პრაქტიკას გადიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ფაბრიკა ყოველწლიურად არმონტებს ბაღის შენობას. შექმნილია აგრეთვე სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სისტემატური ზედამხედველობა და დახმარება გაუწიოს სამავშვო ბაღსა და ბაგას. ყოველ წელიწადს ბაგა და ბაღი ზაფხულობით აგარაკზე მიდიან და მუდამ უხდებათ კერძო ბინების დაქირავება. ეს კი ძალიან დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ფაბრიკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა საწარმოს მოგებისაგან მიღებული სახსრებით ააგოს აგარაკი. მოგაღწიეთ იმას, რომ კოორტ მანგლისში გამოგვიყვეს მიწის ნაკვეთი.

დეპუტატმა სესიის წინაშე დააყენა საკითხი, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში მეტი თანხები გამოიყოს სამავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

**დეპუტატ**

**ლ. მ. უკლებას**

**სიტყვა**

**აბარის** პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, აღნიშნავს დეპუტატი, დასახეს და ახორციელებენ მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს სამავშვო ბაღებისა და ბაგების მატერიალური ბაზის გამმტკიცებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მარტო 1965-1967 წლებში აჭარაში აშენდა 5 ტიპური ბაგა-ბაღი. ამჟამად მიმდინარეობს ტიპური ბაგა-ბაღების მშენებლობა შუახევისა და ხულოს რაიონებში.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურეობების თანხებით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა აჭარაში სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მატერიალური ბაზის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ სკოლამდელ სამავშვო დაწესებულებებზე მოთხოვნილება ამჟამად ისევ გაზრდილი, რომ მისი დაკმაყოფილება მარტო რესპუბლიკური და ადგილობრივი საბიუჯეტო ასიგნებებით შეუძლებელია. ამიტომ პარტიის აჭარის სოლქო კომიტეტი, აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში აქტიურად ჩაებან საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შარშან პარტიის საოლქო კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ სპეციალურად განიხილეს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საბავშვო ბაგებისა და ბაღების მშენებლობის საკითხები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისათვის.

აჭარის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გახსნილია მუდმივი სამავშვო ბაგები და ბაღები. გარკვეული ღონისძიებანი ხორციელდება მთიანი რაიონების კოლმეურნეობებში სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებების შესაქმნელად. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამავშვო ბაგებისა და ბაღების ქსელის გაფართოება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მოვლა-პატრონობისა და აღზრდის გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვიანი ქალების შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმას.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებების ახლანდელი მდგომარეობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. მთელი რიგი ბაღები და ბაგები მეტად გადატვირთულია. საჭიროა წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეტი ინიციატივა გამოიჩინონ სკოლამდელ სამავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის და **გამოყონ** მეტი სახსრები ამ მიზნით.

**დეპუტატ**

**ვ. ს. გელაშვილის**

**სიტყვა**

**დეპუტატი** თავის გამოსვლაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკოლამდელი სამავშვო დაწესებულებების საქმიანობის მტკივნეულ საკითხებს და აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ სოფლებში, მიუხედავად არაერთგზისი მოთხოვნისა, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სამავშვო ბაგები. საჭიროა უფრო მკაცრად მოვეკითხოთ იმ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც გულგრილობას იჩენენ სოფლის ყველაზე პატარა მოქალაქეებისა და მათი დედების ინტერესებისადმი და წლიდან წლამდე მხოლოდ დაპირებებით კმაყოფილდებიან. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად დეპუტატის აზრით, საჭიროა მოგვარდეს ტიპური სტანდარტული ასაწყობი სახლების გამოშვება, ისეთი სახლებისა, რომლებიც **ძვირი** არ დაჯდება, ადვილი გადასატანი და ასაწყობი იქნება და, რაც მთავარია, ყოველმხრივ დააკმაყოფილებს ბავშვთა სიმაგრეს.

**დეპუტატ**

**დ. მ. იოსელიანის**

**სიტყვა**

**მიუხედავად** გარკვეული წარმატებებისა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, ამბობს დეპუტატი, მათი მშენებლობის ტემპი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ესაა იმის მიზეზიც, რომ ძნელდება რესპუბლიკის შრომითი რესურსების მთლიანი ათვისება. სკოლამდელი ასაკის სამავშვო დაწესებულებებზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება გაათავისუფლებდა ქალს საოჯახო საქმეებისაგან, რომლის გამოყენება წარმატებით შეიძლებოდა სახალხო მეურნეობაში.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 42 პროცენტს ქალები შეადგენენ. წლითიწლობით იზრდება ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და საფიზიკო კომიტეტების თავმჯდომარეთა მონაწილეობით. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის სამავშვო დაწესებულებებში ბავშვების ხარჯი სწორ აღრიცხვას სასწავლო საგნების, სათამაშოების, ფიზიკური აღზრდის ინვენტარის, ავეჯისა და სხვათა არასაკმარ რაოდენობა. რესპუბლიკაში არ არის სპეციალიზებული საწარმო, რომელიც ამზადებდეს ბაგა-ბაღებისათვის საჭირო მოწყობილობას.

დეპუტატი სესიის წინაშე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა სათანადო ორგანოებმა გულდასმით შეისწავლონ ბავშვთა კვების მდგომარეობა სკოლამდელი ასაკის სამავშვო დაწესებულებებში და გამოიმუშაონ კვების სათანადო ნორმები. წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით დეპუტატს მიზანშეწონილად მიაჩნია საწარმოო ფონდებიდან გამოიყოს სათანადო სახსრები. სამავშვო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და კვების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უახლოეს დროში ჩვენი სისტემის საწარმოებს, ამბობს დეპუტატი მ. ჩხეიძე, რომლებიც შექმნიან სათანადო ფონდებს, საშუალება ექნებათ საუწყებო სამავშვო დაწესებულებებში ბავშვთა აღზრდა ისე მოაწყონ, რომ მშობლებს ხარჯების მხოლოდ ნაწილი გადაახდევინონ. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და შექმნის პირობებს მათი წარმოებაში შენარჩუნებისათვის.

**დეპუტატ**

**ნ. ა. ლაკიას**

**სიტყვა**

**უკანასკნელ** პერიოდში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ქალაქ ფოთის სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზა. საგრძნობლად გაუმჯობესდა კვების პროდუქტებით სამავშვო ბაღების და ბაგების მომარაგების საქმე. ამაღლდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. ქალაქის სკოლამდელი დაწესებულებები ძირითადად დაკომპლექტებულია გამოცდილი, საქმის მცოდნე მუშაკებით. ამ წარმატებებთან ერთად დეპუტატი აღნიშნავს ფოთის სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ასეთ დაწესებულებათა დიდი ნაწილი მოუხერხებელ ბინებშია მოთავსებული, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

ქალაქში მკვეთრად იგრძნობა საბავშვო დაწესებულებების ნაკლებობა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ფოთში აშენდა მხოლოდ ერთი სამავშვო ბაღი და ერთი ბაგა-ბაღი. დეპუტატი აყენებს სესიის წინაშე საკითხს, რომ სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა პროექტების შედგენისას საჭიროა საპროექტო ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ ადგილობრივი კლიმატური პირობები და სტან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

# საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ დასმული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ი. ჩოგოვაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! დღეს ჩვენ განვიხილავთ წნიშნელოვან საკითხს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში იმ წინადადებათა განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც წამოყენებულ იქნა დეპუტატების მიერ საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ და მეორე სესიებზე, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროებისა და უწყებების წინაშე.

ყოველი საკითხი, რომელიც კი რესპუბლიკის პარლამენტის მსჯელობის საგანი ხდება, დაკავშირებულია ჩვენს საერთო საქმესთან.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ საიუბილეო 1967 წელი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმისათვის მთელი ჩვენი ქვეყანა უმაგალითო ენთუზიაზმით ეზიდებოდა. თვალუწვდენ საბჭოთა მიწაზე მჩქეფარე შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა — საიუბილეო გიგანტე ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობების, შახტებისა და მაღაროების, ტრანსპორტის კოლექტივები, საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ამ საერთო აღმავლობაში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა რეპუბლიკამაც.

დავამთავრეთ რა საიუბილეო წელი დიდი გამარჯვებებით, ახალი, 1968 წელი დავიწყეთ მტკიცე რწმენით, რომ საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო გაამაგლებენ მიღწევებს და, როგორც ყოველთვის, იმ საყოველთაო-სახალხო მოძრაობის მოწინავეთა შორის იქნებიან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიშალა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

წარმატებით დაიწყო ხუთწლედის მესამე წელი. ამას ნათლად მოწმობს ჩვენი ინდუსტრიის მუშაობის შედეგები პირველ კვარტალსა და მომდევნო თვეებში.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც მოგეხსენებათ, 1968 წლის აპრილში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა ერთსულოვნად მოიწონეს პლენუმის გადაწყვეტილებები და მაღალი პოლიტიკური აქტივობით გამოხატეს თავიანთი მისწრაფება უფრო მჭიდროდ დაარაზმონ მშობლიური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო გაანმტკიცონ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ძალისგება, თავდადებულად იშრომონ ხუთწლედის დაგალებათა დროულად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

განვლილ პერიოდში პარტიამ და მთავრობამ განსორციელეს მთელი რიგი არსებითი ღონისძიებანი სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების შემდგომი გაფართოებისა და მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

მათ შორის უმნიშვნელოვანესია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1967 წლის მარტში მიღებული სოციალური დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც დასახლდა დიდი ღონისძიებანი კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და მათი უფლებების შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფისათვის.

ძნელია განიზომოს ამ დადგენილების მნიშვნელობა, იგი სრულიად ახალი საფეხურია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ისტორიაში.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების როლის ყოველმხრივ გაძლიერება, უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დეპუტატების აქტიურ მონაწილეობას, მათი წინადადებებისა და კრიტიკული გამოსვლების ქმედითობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობაზე დაასვა ფრიადმნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, რომ პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების სესიებზე.

ასეთმა პრაქტიკამ კარგი შედეგი გამოიღო: გაძლიერდა უმაღლესი საბჭოების კონტროლი მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანიზაციებისადმი, ამაღლდა დეპუტატთა აქტივობა, შეესაძლებელი გახდა მათი გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენება და იმ ამომრჩეველთა აზრის გათვალისწინება, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაგალებული მაქვს მოგახსენოთ იმ წინადადებებზე — რეკომენდაციებზე, რომლებიც წამოაყენეს დეპუტატებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე და უშუალოდ სამინისტროებისა და უწყებების წინაშე.

ვფიქრობ, საჭირო არ არის კვლავ განვმარტოთ, თუ რაოდენ საყურადღებოა ეს საკითხი. შეგახსენებთ, მხოლოდ, რომ 1963 წლის 28 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალურად განიხილა და დაამტკიცა დეპუტატების წინადადებების, აგრეთვე კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების ის წესი, რის განხორციელება საკანონმდებლოა რესპუბლიკის ყველა იმ სამინისტროს, უწყების, დაწესებულების და ორგანიზაციისათვის, რომლებსაც შეეხება ეს წინადადებანი. ნება მიბრძანეთ მოგახსენოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან.

* * *

როგორც ცნობილია, გამოდიოდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის მარტის დადგენილებიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ჯერ კიდევ 1957 წლის აპრილში განიხილა მეტად აქტუალური საკითხი: „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.“ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება. აღინიშნა, რომ სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებათა განხორციელების შედეგად და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე უკანასკნელ ხანს საკონსოლიდაციო ბიუჯეტის ბარბი შემოსავლის დატოვებას საბჭოთა განკარგულებაში და ა. შ.

როგორც მოგეხსენებათ, რესპუბლიკის მთავრობამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წლის 23 აპრილს მიიღო ერთიანი დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს დადგენილება ითვალისწინებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების უზრუნველყოფას მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებას, კერძოდ, ადგილობრივ ბიუჯეტებში შემოსავლის გადიდებას და სახსრების მიზნშეწონილად გამოყენებას ამ საბჭოებისადმი დაქვემდებარებული მეურნეობების სოციალურ-კულტურული და სხვა ღონისძიებების დაფინანსებისათვის.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის მთავრობამ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. შარშან და წელს სხვადასხვა რაიონებს ამ საბჭოებისათვის უკვე გამოეყო 30 მოტოციკლი.

დეპუტატების მიერ აღძრული ზემოხსენებული ორი ძირითადი საკითხის გადასაჭრელად მუშავდება სხვა ღონისძიებებიც.

კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამაწლის 8 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საგანგებოდ განიხილა რესპუბლიკის სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების უფლებათა გაფართოების საკითხი და შექმნა კომისია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. ს. ძოწენიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაეგალა კანონშრომატა შემუშავება აღნიშნული საბჭოების დებულების შესახებ. კომისია უკვე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამავე დადგენილებით კომისია ამუშავებს აგრეთვე წინადადებებს რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების უფლებების შემდგომი გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების შესახებ.

მესამე რიგის საკითხები, რომლებიც დააყენეს დეპუტატებმა შინაუბამ, კომახიძემ, გობრონიძემ, ტენიშვილმა, ხანიკაევმა და სხვებმა, შეეხებოდა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შტატების გადიდებას, რაიაღმასკომებში სხვადასხვა განყოფილებების აღდგენას, ცალკეულ მუშაკთა ხელფასების მომატებას.

ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საკავშირო ორგანოები სწავლობენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სტრუქტურული გაუმჯობესების, კერძოდ, საგეგმო კომისიების შტატების გადიდების საკითხს და მიღებული გადაწყვეტილებები, ცხადია, გავრცელდება რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებზეც.

გარდა ამისა, საკავშირო მთავრობამ გასულ წელს გადადგა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეებისა და მდივნების თანამდებობრივი განაკვეთები და შემოიღო დამლაგებელ-ცეცხლფარეშის თანამდებობა. აგრეთვე ითარებები კვლავ შტატის გადიდებაზე საკითხის დაყენება, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ასევე ჯერჯერობით ნაადრევად მიგვაჩნია რაიაღმასკომების ინსტრუქტორების ხელფასების გადიდება, რადგანაც საკავშირო მთავრობის მიერ 1964 წელს უკვე ორჯერ და უფრო მეტად იქნა გაზრდილი ამ თანამდებობათა ხელფასის განაკვეთები.

რაც შეეხება რაიაღმასკომებში ზოგიერთი განყოფილების (ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საორგანიზაციო და სხვ.) აღდგენას, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ საკავშირო ორგანოებში წარდგენილ 1968 წლის ბიუჯეტის პროექტი ჯათვალისწინა ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა სამტატო ერთეულება და ხელფასის ფონდი, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

დეპუტატებმა კომახიძემ, შინკუბამ, ვერულაშვილმა და გეგეჭკორის რაიონის ხუნწის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. თოფურიამ მოითხოვეს ლიტერატურა საბჭოთა მშენებლობის შესახებ, რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში უფრო ფართოდ შუქდებოდეს საბჭოების საქმიანობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილა დეპუტატთა ეს შენიშვნა და დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლის ახლო მომავალში გამოსასწორებლად.

ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარება რესპუბლიკურ პრესაში, საბჭოთა მშენებლობის აქტუალური საკითხების პროპაგანდას მეტი ადგილი ეთმობა რადიოგადაცემებსა და სატელევიზიო გადაცემებში. ჩვენი ვალია კვლავაც არ შეფასებოდეს ფურადღება და „უფრო თანმიმდევრულად, მიზანსწრაფულად წარმმართოთ რესპუბლიკის გამომცემლობების, პრესისა და რადიო-ტელევიზიის მუშაობა ამ მიმართულებით.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მირველ სესიაზე ბევრი რამ ითქვა ადგილობრივი საბჭოების კადრების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე. კერძოდ, ასეთი წინადადებანი შემოვიდნენ დეპუტატები გობრონიძე, კომახიძე, შინკუბა, ხოლუაშვილი და სხვები. საკითხი, უდავოდ, დროული და მიზეზებეფუებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებამ საეხებით ახლებურად დააყენა ამ დარგის მუშაკთა ამოცანები. ამიტომაც იყო, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები სრული გაგებით მოეკიდნენ დეპუტატთა ამ წინადადებებს და განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი კადრების მომზადება-გადამზადებისათვის.

მაგალითად, როგორც მოგეხსენებათ, ბაქოში მოეწყო რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა ზონალური ერთთვიანი კურსები რამდენიმე ნაკადად, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ.

თბილისში მოეწყო რესპუბლიკური ერთთვიანი კურსები რაიაღმასკომებში თავმჯდომარეების მოადგილეების, რესპუბლიკური დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეებისა და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისათვის.

მზადდება და, ვფიქრობთ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩაეტარებთ აგრეთვე ანალოგიურ კურსებს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეებისა და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისათვის.

მზადდება და, ვფიქრობთ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩაეტარებთ ანალოგიურ კურსებს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა საბჭოებმა ადგილებზეც უფრო აქტიურად გაშალონ მუშაობა, სრულყონ თავიანთი კადრების სწავლების მეთოდები და ხერხები, უფრო მრავალფეროვანი გახადონ მათი კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები, განაზოგადონ და გაავრცელონ საბჭოების მიერ შეძენილი მოწინავე გამოცდილება.

პირველ სესიაზე დეპუტატებმა წამოაყენეს აგრეთვე წინადადება დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, ცალკეული ობიექტების მშენებლობის, აზრებისა და ბუნების გაყვანის, ამ მიზნით დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა განიხილეს ეს წინადადებები და ბევრი მათგანი დადებითად გადაწყვიტეს.

მაგალითად, დეპუტატმა გოცირიძემ შემოიტანა წინადადება გორის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წყალმომარაგების გაუმჯობესების შესახებ. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთილი აქვს და წელს დამთავრდება ხურვალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის წყალმომარაგების პროექტი, ხოლო მშენებლობა დაიწყება 1969 წელს. ამავე სამინისტროს შეკვეთილი აქვს სოფლების ხიდისთვის, ბნავისის, წედისისა და ოლოზის წყალსადენების შროეკტები, რომელთა დამთავრების შემდეგ განხილულ იქნება მათი მშენებლობის საკითხიც.

ახალდაბის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ჯოხაძემ ითხოვა, რომ ბორჯომის რაიონის ახალდაბის კეთილმოწყობაში წილობრივი მონაწილეობა მიეღოთ დაინტერესებულ ბამნ-ოსტრებსა და უწყებებს. საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო იტყობინება, რომ მომდინარე წელს მას ჯათვალისწინებული აქვს ახალდაბაში პირუარული ბანაკისა და 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამას გარდა, სამინისტრო წილობრივ მონაწილეობას იღებს წყალსადენის მშენებლობაში.

რამდენიმე საყურადღებო წინადადება წამოაყენეს დეპუტატმა ხანიკაევმა და ამხ. ჯოხაძემ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიმართეს. მათი თხოვნის დასაკმაყოფილებლად სამინისტრომ გადაწყვიტა წელს დაამთავროს ხიდის დაპრიალება მდინარე ლიახვზე ჯავაში, ხოლო 1969 წელს შეუდგეს მის მშენებლობას. უკვე დაწყებულია ბორჯომში მდინარე მტკვარზე ახალი ხიდის მშენებლობა, ასევე ხანში დამთავრდება მდინარე მტკვრის ნაპირების გამაგრების სპრორეტო მოცულობა და სულ მალე დაიწყების მათი მშენებლობაც. წელსვე გათვალისწინებულია ბორჯომის კანალიზაციის მშენებლობის სამუშაოებიც.

დეპუტატ გოცირიძის თხოვნის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გადაწყვეტილი აქვს სოფლების მერეთის, ბერშეთის, ხიდისთავის, დიღის სკოლების მატერიალური ბაზის მდგომარეობის შესწავლა და მათი განხილვა უახლოესი წლების სპრორეტო-საძიებო სამუშაოების გეგმის შედგენის დროს. წელს უკვე დაიწყო სასკოლო შენობის მშენებლობა სოფელ ნიქოზში.

ახალდაბის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ჯოხაძის წინადადების გათვალისწინებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო აშენებს ბაკურიანის კულტურის სახლის სამუშაო ნახაზების დამთავრებას, რათა მისი მშენებლობა შეტანილ იქნას 1969 წლის სატიტულო სიაში.

დადებითად გადაიჭრა აგრეთვე უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ მირველ სესიაზე შემოტანილი ბევრი სხვა წინადადება და შენიშვნა.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიად, რომელიც გასული წლის 26-27 ოქტომბერს გაიმართა, როგორც ცნობილია, განხილა და დაამტკიცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმა და სახალხო მეურნეობის განვითარების 1969-70 წლების გეგმები, აგრეთვე საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამ საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა, გამოთქვეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმის და ბიუჯეტის წარმატების შესრულებისაკენ მიმართული არაერთი საყურადღებო მოსაზრება, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები და სურვილები.

მართალია, ბევრი წინადადების ირგვლივ, რომელიც სესიაზე იქნა დასმული, დეპუტატებმა აბობოქრა ამაზე, ბევრ მეტი ჰექტარი ფართობი მოირწყვება. წელს უნდა დამთავრდეს სადასოლოს არხი. გაყვანა. სამინისტრო 1967 წელს შეუდგა აგრეთვე მარნეულის რაიონის მდ. დებედას სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციას. სადღერ სადასლოდან 7 კილომეტრით ზემოთ მდინარე დებედაზე იგება კაშხალი, რის შემდეგაც სარწყავი სისტემა მაცოცხლებელ წყალს მიაწვდის დაახლოებით 20 ათას ჰექტარ მიწის ფართობს. ამ საკითხზე მირველ სესიაზე ყურადღება გააპასვალა დეპუტატმა შამილოვმა.

როგორც ხედავთ, დეპუტატთა მოთხოვნები, ძირითადად, აქტიური მშრომელებით სარგებლობს და მათ სათანადო პრაქტიკული შედეგებიც მოსდევს, ეს არც არის გასაკვირველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო დეპუტატთა საქმიანობაში, მათ მიერ დაყენებულ წინადადებებში ყოველთვის ხედავენ მათი ამომრჩეველების ნებისა და სურვილის გამოხატულებას და, ბუნებრივია, ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას. ამიტომ იყო, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მთავრობამ უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე სპეციალურად იმსჯელეს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში დეპუტატთა წინადადებების განხილვისა და შესრულების მიმდინარეობაზე, გაატარეს შესაბამისი ზომები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო ხანს თვით სამინისტროებიცა და უწყებებიც, როგორც წესი, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დეპუტატთა წინადადებებს და ყოველ ღონეს ხმარობენ დაყენებული საკითხების დადებითად გადაჭრისათვის. მიუხედავად ამისა, დეპუტატთა წინადადებების ერთი ნაწილი დაუმაყოფილებელი დარჩა, რაც შემდეგი გარემოებებით უნდა აიხსნას:

ჩვენთვის სავსებით ნათელი და გასაგებია ის კეთილი ზრახვები, რომლებიც დეპუტატებს ამოძრავებდა, რაცა სესიაზე ან უშუალოდ სამინისტროებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში აყენებენ საკითხებს ამა თუ იმ რაიონში, ქალაქში საამშენებლო, რეკონსტრუქციისა თუ კეთილმოწყობის სამუშაოთა დაგეგმვისა და განხორციელების, ამ მიზნით დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ. რა თქმა უნდა, აქ მეედვილობაში არა გვაქვს საკითხები, რომელთა მოგვარება ცხოვრებისეული აუცილებლობით არის ნაკარნახევი და ვერ ითმენს გადადებას. ამგვარი წინადადებები ოპერატიულად უნდა გადაწყდეს. მაგრამ, ამხანაგო დეპუტატებო, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ რესპუბლიკის მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსები განსაზღვრულია და ისინი პირველ რიგში ვიგეგმაზომიერად უნდა წარმართოთ იმ საეროთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც გადაუდებელია ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის ძირითადი დარგების შემდგომი განვითარებისათვის.

ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს უაღრესად მნიშვნელოვანი კამპანია — დეპუტატები ხდებიან თავიანთ ამომრჩეველებს და ანგარიშს აბარებენ გაწეული მუშაობის შესახებ. ამ შეხვედრებზე, ცხადია, ამომრჩევლები აყენებენ მრავალ სხვადასხვა ხასიათის წინადადებას. მაგრამ რამდენადაც დიდი უნდა იყოს დეპუტატის სურვილი შეასრულოს თავიანთ კეთილშობილური მოკალობა, რასაკვირველია, ყველა საკითხის ერთდროულად გადაჭრა მაინც შეუძლებელი იქნება.

დეპუტატმა პირველ რიგში თვითონ უნდა გაითვალისწინოს და ამომრჩეველებსაც განუმარტოს, რომ, როცა საბჭოთა ხელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია, კაპიტალური დაბანდებები, სახსრები და მასალები განაწილებულია, არ შეიძლება ხელაღებით ვაყენებდეთ ათასგვარ საკითხს, მოვითხოვდეთ მათს უცილობელ შესრულებას. ამით ამომრჩეველებსაც შეცდომაში შეგიყვანთ და ბევრ დროსაც უნაყოფოდ დაკარგავთ.

ამიტომ დეპუტატმა გულდასმით უნდა შეისწავლოს წინადადებანი, აწონ-დაწონოს ისინი, გამოიკვლიოს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მიმდინარე მომენტში გადაუდებელია, ხოლო განხორციელება — რეალური, და მხოლოდ ამის შემდეგ დასაბუთებული წინადადებით წარსდგეს შესაბამისი ორგანოს წინაშე. რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გამორიცხავს საკითხებს, რომლებიც პერსპექტიულ გეგმებში უნდა იქნას გათვალისწინებული.

უნდა გვახსოვდეს, რომ ობიექტურად აუცილებელი და მიზანშეწონილი წინადადება მუდამ იპოვნის ჯეროვან მხარდაჭერას, ყოველთვის იოლად გაიკვლევს გზას იმ ადამიანებისაკენ, ვინც უფლებამოსილი და ვალდებულია განიხილოს და გადაჭრას იგი.

დეპუტატებმა წამოაყენეს ჯერეთ მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ მოითხოვს რესპუბლიკური ორგანოების ჩარევას, მათი განხილვა შეადგენს ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას, შეიძლება განხორციელებულ იქნას ადგილობრივი რესურსებისა და შინაგანი რეზერვების უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების გზით.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ზოგიერთი სამინისტრო ან უწყების მუშაკები ფორმალურად ეკიდებიან დეპუტატის მიერ წამოყენებული წინადადებების შესწავლასა და გადაწყვეტას, რის შედეგადაც ზოგი მნიშვნელოვანი საკითხი გადაუჭრელი რჩება ანდა მათი განხორციელება დაუგვიანებლად ჭიანურდება. გვაქვს იმის მაგალითებიც, რომ დეპუტატების წინადადებებს კოლეგიის სხდომებზე არ განიხილავენ, დროულად არ აცნობებენ დეპუტატს მის მიერ დასმული საკითხის განხილვის შედეგს და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს სამინისტროებსა და უწყებებს მინდა მოვაგონო ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ახლახან მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დეპუტატების წერილების განხილვის წესის შესახებ. ეს დადგენილება, ისევე როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ანალოგიური დადგენილება, საფუძვლიანად პირად პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფო ორგანოების, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დეპუტატთა მიერ დაყენებული საკითხების დროული და სწორი გადაწყვეტისათვის.

უდავოა, რომ დეპუტატთა მიერ დაყენებული წინადადებებს რეგიონების მდგომარეობა ყოველთვის უნდა იყოს აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების ყურადღების ცენტრში. ისინი თამამდევრულად, ღრმად უნდა სწავლობდნენ და თავიანთ სესიებზე სისტემატურად განხილავდნენ ასეთ საკითხებს, იღებდნენ სათანადო გადაწყვეტილებებს და გადაჭრით იბრძოდნენ, რათა ადგილობრივ ორგანოებსა და საწარმო-დაწესებულებებში ბოლომდე აღიკვეთოს დეპუტატთა წინადადებებისადმი ზერელე და ფორმალური დამოკიდებულება, მათი შენიშვნებისა და სიგნალების უგულებელყოფის ფაქტები.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თავის რჩეულს ხალხი მაღალი უფლებით მოსავს, იგი ანგარიშვალდებულია მათ წინაშე, და ამიტომ დეპუტატის ავტორიტეტს თვალისჩინებივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უეჭველად განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა სამინისტროებისა და უწყებების მუშაობაში აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი და ამაღლდეს მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა დეპუტატთა წინადადებებზე საქმიანი და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პარტიული ორგანოების ყოველდღიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით ამ საქმეს სათანადო პრინციპულობით მოეკიდებიან ადგილობრივი საბჭოებიც და დეპუტატებთან მუშაობას, მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვასა და შესრულებას წარმართავენ დღეკვანდელობის მაღალი მოთხოვნების დონეზე, კომუნიზმის მშენებლობის დიდი ამოცანების შესაბამისად. (ტაშს).


# ჯ. ა. ჭიჭინაძე

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოში სტანოვური მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები, თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე, სკკპ წევრი 1925 წლიდან ჯაბით ალექსის-ძე ჭიჭინაძე.

დ. ჭიჭინაძე დაიბადა 1902 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. მან გაიარა შრომითი ცხოვრების ნათელი გზა უბრალო ფრაზალ ფრაზმცემელი მუშიდან მინისტრის პირველი მოადგილის პოსტამდე. შრომითის საქმიანობაში ბავშვობიდანვე ჩაება. 19 წლის ჭაბუკი იყო, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა. 1921 წელს მუშობა დაიწყო თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საჭედლო საამქროში ფოსოსცემლად, მერე კი მჭედელი გახდა.

შრომისმოყვარე და ენერგიული ახალგაზრდა მალე მჭედელთა ბრიგადირად დაწინაურეს. მოკლე ხანში მისმა ბრიგადამ საკვეყნოდ გაითქვა სახელი. დ. ჭიჭინაძე და მისი ბრიგადის წევრები იყვნენ ქარხანაში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლის წამომწყებნი და დამნერგავნი, ხოლო სტანოვური მოძრაობის გარიერაჟზე საქართველოში და მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ისინი გახდნენ ამ პატრიოტული წამოწყების პირველი მიმდევრები და პირველი სტანოველები.

1937 წელს დ. ჭიჭინაძე დაინიშნა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორად. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა ქარხნის მრავალათასიან კოლექტივს და შეუფერებლად ამარაგებდა ფრონტს საომედოდ შეკეთებული რკინიგზის მოძრავი შემადგენლობით.

1945 წელს არჩეულ იქნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე მუშაობის მანძილზე მან ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა რაიონის განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

1954 წლიდან დ. ჭიჭინაძე იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

1959 წლიდან სიკვდილამდე დ. ჭიჭინაძე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილედ მუშაობდა. იგი იყო უნარიანი ორგანიზატორი, საქმის ერთგული, პრინციპული და გულისხმიერი ხელმძღვანელი.

დ. ჭიჭინაძე ოთხჯერ იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1937 წლიდან 1960 წლამდე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს დ. ჭიჭინაძის მრავალი წლის ნაყოფიერ საქმიანობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, ოთხი medlით, საპატიო რკინიგზელის სამკერდე ნიშნით.

უანგარო მუშაკის, შესანიშნავი კომუ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

# ქამათი მოხსენებათა და თანამოხსენებათა გაცვლა

(დასასრული)

ბავშვები ხშირად მათ ჩაკეტილი ჰყავთ ოთახებში, არ უშვებენ მეეზოეზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. საჭიროა სათანადო ორგანოებმა იზრუნონ იმისათვის, რომ სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებებში გაიზარდოს მომსახურეობა, ეფექტიანი და პედაგოგიური ბერეობალის კონტინგენტი.

### დეპუტატ

### ი. გ. ამიჩბას

#### სიტყვა

**შეანასანელ** ოლებში მნიშვნელოვანად გაიზარდა სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, გაუმჯობესდა მათი მუშაობის ხაროსი, ამაღლდა აღმზრდელების და პედაგოგების კვალიფიკაცია. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელებისათვის მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აფხაზეთში ეწყობა სხვადასხვა სემინარები, პრაქტიკუმები და ღია შეცდომებები, თეორიული კონფერენციები. უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით 1960 წლიდან ,,აიზარდა სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების აღმზრდელებისათვის მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ოთხ-ხუთ-ოთხ ინსტიტუტებთან. ამჟამად მიმდინარეობს ტიბმბრივი შენობების შენებლობა ონჩაჩირესა და გუდაუთაში. მეუხედავად აღნიშნულისა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საკმარისი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ნაკლებობა არსებული. საბავშვო ბაღები და ბაღები გადატვირთულია. ამის გამო, რომ ბავშვების გარკვეული ნაწილს დღისით ვერ ამოიბენენ. ბევრი საბავშვო ბაღი და ბაღა ორეოდ ქალაქად, ისე სოფლად შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული.

უნდა ვალიარონთ, აღნიშნავს შემდეგ დეპუტატი, რომ სახალხო განათლების ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ საბავშვო ბაღების მუშაობას. საჭიროა საბავშვო ბაღების მშენებლობაში ფართოდ მოვიზიდოთ უწყებებიც. მსხვილ საწარმოებს შეუძლიათ საწარმოო ფონდების ბარეზე დაფუძნებული სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების საინიციატივო მშენებლობა.

საუწყებო საბავშვო ბაღების კადრები ხშირად შეირჩევა ხოლმე განათლების განყოფილებებთან ერთობლივად, რის შედეგად აღზრდელებად ზოგჯერ ნიშნავენ შემთხვევით პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაფერისი განათლება, მოწოდება და მუშაობის სიყვარული.

ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს სოფლად საბავშვო ბაღებისა და ბაღების მშენებლობის საქმეში. კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა ბავშვების ძალიან უზნეშვილო ნაწილი ხშირადა სკოლამდელ დაწესებულებებში. საჭიროა მკვეთრად გავაძლიეროთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაღების მეურნეობის ამაღლებაზე. ზოგიერთ ადგილებში ბაღებს ხელმძღვანელობენ ,,ბებიები“, ,,ბაბუები“ — ,,ბებიებ“ ,,ბაბუებ“ — ,,ბებ“ ,,ბაბ“ — ,,ბ“ — ,,ბ“ — ,,